# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— ორშაბათი, 12 ივნისი 1900 წ. № 1149

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით
10 მანეთი 6 მან. 4 მან

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით
6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

**ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.**

**გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.**

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.


# ახალი ამბავი

—

✦ **სახალხო თეატრის** ასაშენებელ ფონდის გაძლიერებისთვის ფული შესწირეს კიდევ: კნ. ნ. ე. ქობულაშვილისამ—500 მანეთი და კნ. მ. ნ. ბეგთაბეგოვისამ—300 მანეთი.

✦ ქუთაისიდან „კავკაზ“-ს სწერენ, რომ ამ ჟამად იქ სისრულეში მოჰყავთ **ადგილ-მამულის გარდასახადის გაწერა.** სულ გადასახადი უნდა დაედვას 806.494 დესეტინა მიწას, რომელიც გაყოფილია სამ კატეგორიათ: პირველს ეკუთვნიან ვენახები, მეორეს—სახნავ-სათესი ადგილები და მესამეს—ტყე და საძოვარი ადგილები; გარდა ამისა ყოველი კატეგორია დაყოფილია სამ ხარისხად: კარგი მიწა, შუათანა და უვარგისი. ყველა ადგილებიდან სავარაუდო შემოსავალი აღნიშნულია 1.638.345 მან., რომლიდან ქუთაისის მაზრაზე მოდის—312.504 მანეთი, შორაპნისაზე—293.778 მან., ოზურგეთისაზე—226.334 მ., სენაკისაზე—212.426 მ., ზუგდიდისაზე—186.902 მ., ლეჩხუმისაზე—87.033 მან., რაჭისაზე—74.646 მანეთი და სოხუმის ოლქზე—244.722 მანეთი. ამ შემოსავლის მიხედვით ადგილ-მამულის გარდასახადი დაიდვა მთელს გუბერნიაზე—98.545 მანეთი 95 კ., რომელიც განაწილდა ასე: ქუთაისის მაზრას ერგო—18.798 მანეთი, შორაპნისას—17.670 მანეთი, ოზურგეთისას—13.613 მანეთი, სენაკისას—12.783 მანეთი, ზუგდიდისას—11.241 მანეთი 95 კაპეიკი, ლეჩხუმისას—5234 მანეთი, რაჭისას—4489 მანეთი და სოხუმის ოლქს—14.719 მანეთი.

✦ ქუთაისის გუბერნიის ქალაქების უძრავ მამულებზე დაიდვა 1900 წლისთვის **საერობო გარდასახადი** სულ 31.500 მანეთი, რომელიც ასე განაწილდება: ქ. ქუთაისის მამულებზე—7176 მანეთი, ბათუმის—16.119 მანეთი 50 კ., ფოთის—2058 მანეთი, ოზურგეთის—508 მანეთი 50 კ., სოხუმის—4245 მანეთი, ართვინის—1010 მანეთი, რედუტ-კალესი—67 მან. და ზუგდიდის—316 მანეთი.

✦ მალე კავკასიაში ჩამოვა **ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა სარევიზიოდ** ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს მმართველობის უფროსის თანაშემწე ბ. სევასტიანოვი.

✦ წელს ტფილისის **სამოსწავლო ინსტიტუტის** კურსი დაასრულა 16 მოწაფემ, რომელთა შორის ქართველი მხოლოდ ერთია—მ. ძლენტი.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**10 ივნისა**

**ბერლინი.** გერმანიის კონსული იტყობინება ჩიფუდან, რომ გემზე „ილტის“-ზე მოკლულ იქმნა 7 კაცი, მათ შორის ლეიტენანტი ხელმანი: დაჭრილ იქმნა 14, მათ შორის მძიმეთ არის დაჭრილი გემის უფროსი.

ჩინეთის ელჩმა ბერლინში შეატყობინა გირეშე საქმეთა სამინისტროს, რომ გერმანიის ელჩი პეკინში ცოცხალია და არც არა უჭირს-რა.

გერმანიის კონსული იტყობინება ჩიფუდან, რომ ჩინელები განუწყვეტლივ ესვრიან ტიანცზინის იმ ნაწილს, სადაც ევროპიელები სცხოვრებენ. უმეტესი ნაწილი შენობათა დაიწვა. პეკინიდან არავითარი ცნობა არ მოსულა ჯერ.

**ლონდონი.** შანჰაიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ თითქმის ყველა სოფლები ვეი-ხაი-ვეიში, რომელნიც უცხოელებით იყვნენ დასახლებული, მეამბოხეთ გადაუწვავთ; „რეიტერის სააგენტოს“ ამის შესახებ არაფერს ატყობინებენ.

**ვენა.** გაზეთი «Neue Freie Presse» იტყობინება, რომ ბერლინის ჩინეთის საელჩოს დეპეშა მოსვლია ლიხუნგჩანგისაგან, რომლითაც ის იუწყება—მივდივარ პეკინშიო, რათა ეიკისრო შუაკაცობა ჩინეთსა და უცხო სახელმწიფოთა შორისო. დეპეშაში გამოცხადებულია სურვილი, რომ შუაკაცობის მოვალეობის გაადვილებისათვის და შერიგების მოხდენისათვის, ევროპიელებმა შეაჩერონ ჯარების გამოგზავნა ჩინეთში. გარდა ამ დეპეშისა, საელჩოს ცნობა მოსვლია ჩინეთის რკინის გზების დირექტორისაგან, რომ პეკინში მყოფი უცხოელთა ელჩები კარგად არიან და მათ საშიში არაფერი მოელისო.

**ბერლინი.** „ვოლფის სააგენტო“ იტყობინება: „ლიხუნ-ჩანგს განზრახვა აქვს ჯერ მოსპოს „დიდი მუშტის“ მიერ გამოწვეული აჯანყება და შემდეგ დაიწყოს შუამავლობა ჩინეთისა და უცხო სახელმწიფოთა შორის“.

**ნიუ-იორკი.** მეტოდისტების მასსიონერთა ხელმძღვანელმა ტიანცზინში შემდეგი დეპეშა გამოგზავნა ჩიფუდან: „ეს არის გამოვიქეცი, და თავს ვუშველე გერმანელ ნავზე ტინაცზინიდან. უკვე რამდენიმე დღეა ტიანცზინს ზარბაზნებს ესვრიან ჩინელი ჯარები. უცხოელთა ნაწილი ტიანცზინისა დაქცეულია. ამერიკის გემის ლეიტენანტი რაიტი და 50 ჯარის კაცი მოკლულნი არიან, ზოგიც დაჭრილი; უთუოდ საჭიროა მომშველ ჯარის გამოგზავნა“

**შანჰაი** ხუთშაბათს ჩინეთის ჯარმა 50 ზარბაზნით, პრინცის ტუანის წინამძღოლობით, იერიში მიიტანა ტიანცზინზე: აქამდის ქალაქი ვერ აიღეს ჩინელებმა, მაგრამ მათ ზარბაზნებმა ბევრი ზარალი მისცეს ევროპიელთ.

უკანასკნელ და უტყუარ ცნობებიდან სჩანს, რომ საელჩოები პეკინში ჯერ კიდევ უვნებლივ არიან.

**ჰონკონგი.** ლი-ხუნ-ჩანგი იტყობინება, რომ ის დედოფალმა პეკინში დაიბარა ამბოხების მოსასპობლად და ჩინეთსა და უცხოელთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად. ის მიდის კანტონიდან 14 ივნისს ჰონკონგითა და შანჰაით.

**ლონდონი** პრეტორიიდან 6 ივნისს დეპეშით იტყობინებიან, რომ ბულლერის, ბრაბანტის და რენდლის ჯარებმა შუაში მოიმწყვდიეს დევეტის რაზმები; თუ საჭირო იქნა, ინგლისელებს მოეხმარება აგრეთვე გენერალ გამილტონის ჯარიც. ბოტამ გამოაცხადა, რომ ის მზად არის დანებდეს ინგლისელთ, მაგრამ კრიუგერი წინააღმდეგია ამისიო. გარდა ამისა ბოტას აქეზებს წინააღმდეგობაზე დევეტი.

**იოკაჰამა.** იაპონიის ჯარების მოძრაობის შესახებ ცნობებს არ ამჟღავნებენ, მაგრამ დაბეჯითებით

ამბობენ, რომ კიდევ ერთი დივიზია იგზავნება ჩინეთშიო.

აქაურ გაზეთებს დიდი იმედი აქვთ, რომ ლი-ხუნ-ჩანგი კარგად შეასრულებს მინდობილებასაო.

**შანჰაი.** კონსულებმა მიჰმართეს ჩინეთის ადმირალს საერთო ნოტათი, რომელშიაც სთხოვენ გაიყვანოს ნავთსადგურიდან გემები. ამიტომ ორი გემი დღეს მიდის აქედან, დანარჩენები კი ხვალ წავლენ.

**მალტა.** კრეისერები „იზის“ და „დიდო“ მზად არიან ჩინეთისაკენ წასასვლელად.

**პარიზი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა ღამით რამდენიმე დეპეშა მიიღო ჩინეთიდან. შანჰაის კონსული იტყობინება, რომ ჩინლებები კიდევ უშენენ ყუმბარებს ტიანცზინს და რომ ამერიკელთა საკონსულო დაქცეულია. პეკინიდან კიდევ არ მოსულა ცნობები.

**11 ივნისს**

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ბანკმა დასწია სესხების პროცენტი 4 პროცენტიან რენტისთვის $6\%$-მდე, დანარჩენ ფასიან ქაღალდებისთვის, რომელთაც ხაზინის გარანტია აქვთ, $6^1/_2\%$-მდე, ხოლო იმ ქაღალდებისთვის, რომელთაც გარანტია არა აქვთ. $7\%$-მდე.

მთავრობის განცხადება: „იმ წამსვე, როგორც კი მოვიდა ჩინეთიდან საშიში ამბები, მთავრობამ თავის ელჩის პირით მოსთხოვა ჩინეთის მინისტრებს ქვეყნის დასამშვიდებლად ზომების მიღება. ელჩს გირსს მასთანავე დაევალა ჩაეგონებინა ცუნგ-ლი-იამენისათვის, თუ რა ცუდს შედეგს მოუტანს ჩინეთს უცხოელთა წინააღმდეგი ამბოხება. სამწუხაროდ, ჩინეთის პროვინციელ მოხელეთა უზრუნველობამ წააქეზა მეამბოხენი, რომელთაც მთავრობის ჯარმაც მხარი მისცა. ამბოხება დღითიდღე ძლიერდება. 25 ივნისს მეკრიჟეებმა დასწვეს მართლ-მადიდებელთა ეკკლესია დუნტინანში და ემუქრებოდენ გადაწვას რუსეთის სასულიერო მისსიასაც. ჩრდილოეთ-ჩინეთში მცხოვრებ რუსთა მდგომარეობა განსაცდელში ჩავარდა. ჩვენის ელჩის განკარგულებაში იყო მხოლოდ 75 ჯარის-კაცი. ამ გარემოებათა გამო აღარ შეიძლებოდა არ მიგვეღო საჭირო ზომები. უმაღლესის ბრძანებით კვანტუნის ოლქის უფროსს განკარგულება მიეცა — მზად ყოლებოდა 4000 კაცი ჩინეთში გასაგზავნად რუსეთის ელჩის მოთხოვნისათანავე. მაგრამ რადგანაც ამის შემდეგ შეწყდა ტელეგრაფის მუშაობა პეკინთან, ხოლო შანჰაიდან კი იტყობინებოდნენ, რომ პეკინს გარშემო შეგროვდნენ „დიდი მუშტის“ მომხრენი, რომელნიც ჰფიქრობენ ევროპიელთა მისსიებზე თავს დასხმასაო, ვიცე-ადმირალს ალექსეევს ებრძანა გაგზავნოს პეკინისაკენ ზემოდ მოხსენებული ჯარი. ამ ჯარის ნახევარმა, ტიანცზინში მისვლისას, დახვდა რკინის გზაც და ტელეგრაფიც გაფუჭებული. თვით ტიანცზინში მეამბოხენი ორჯელ დაესხენ თავს ევროპიელთა ნაწილს; ცეცხლი წაუკიდეს ჩინელთა მოსახლეობას და ადგილობრივ გენერალგუბერნატორის სახლსაც. ჩვენმა ჯარმა დაამარცხა და უკუაქცია ორჯელვე მეამბოხენი; თვით კი ზარალი არა მოსვლია-რა. მეამბოხეთა ბრბომ დაიჭირა მაშინ ტაკუს სიმაგრეები იმ მიზნით, რომ გზა შეეკრა მაშველ ჯარებისათვის და აგრეთვე დაეშალა სურსათის მოტანა. ამ გარემოებამ აიძულა საერთაშორისო ჯარები გზა გაეხსნათ ზღვისაკენ და წაერთმიათ მეამბოხეთათვის ტაკუს სიმაგრეები. 4 ივნისს მომხდარ ბრძოლის შედეგი უკვე გამოცხადდა. რა-კი ტაკუს სიმაგრები დაჭერილია, რუსეთის ჯარს შეუძლია აღასრულოს მინდობილება და დაიცვას რუსეთის ქვეშევრდომნი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სჩანს, რომ რუსეთის ჯარის შესვლა ჩინეთში სრულიადაც არ ნიშნავს მტრულს განწყობილებას ჩინეთთან; პირიქით, რუსეთის ჯარს ჩინეთში შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას და მოასპობინოს საშიში ამბოხება“.

**ლონდონი.** ნება მიეცა ინგლისის გემებს, რომელნიც ჩიფუსა და ტაკუს შუა იმყოფებიან, მიიღონ კერძო დეპეშები. შანჰაისა და ჩიფუს შუა ჩინეთის ტელეგრაფმა დაიწყო მუშაობა.

**პარიზი.** საბიუჯეტო კომისიაში ლანესსანმა გამოაცხადა, რომ მის მიერ მოთხოვილ კრედიტით შეიძლება შენახულ იქმნას 3500 ჯარის-კაცი ტაკუში, სწორ.დ იმდენი ჯარი, რამდენიც თითოეულ სხვა სახელმწიფოსა ჰყავს.

**ქილი.** მოვიდა იაპონიის პრინცი კანინი, რომელსაც მიეგება პრინცი ჰენრიხი.

**ვენა.** იმპერატორმა მიიღო სერბიის მეფედ ნამყოფი მილანი; შემდეგ უკანასკნელმა ინახულა გოლუხოვსკი.

კრეისერი „მარია ტერეზია“ წავიდა ჩინეთისაკენ,

**შანჰაი.** ჩიფუდან იტყობინებიან, რომ საქმეთა მდგომარეობა ტიანცზინში თუმცა საშიშოა, მაგრამ არც სულ უნუგეშო. ქალაქს ყუმბარებს ესვრიან; ნაწილი კიდევაც იწვის; დამცველებმა საგრძნობლად იზარალეს. გუშინწინ ქალაქის დასახსნელად წავიდა ტიანცზინისაკენ 2000 კაცი. ამერიკის კონსულს ტაკუში დეპეშა მოუვიდა, რომ 21 ივნისს გაგზავნილი ჯარი ტიანცზინის განსათავისუფლებლად უკანვე დაბრუნდა; მაგრამ პარასკევს ღამით, მეშველ ჯარის მოსვლისათანავე შეებრძოლა მტერს. სამხედრო მატარებელი გადავარდა ლიანდაგიდან. ნანკინის მმართველი დეპეშით იტყობინება 20 ივნისს, რომ პეკინში უცხოელთა საელჩოები უვნებლივ არიან.

**ბერლინი** აქაურს ჩინეთის საელჩოს შანჰაიდან ატყობინებენ: უცხოელთა საელჩოები პეკინში უვნებლივ არიან და ყველა ელჩები კარგად არიან.

დრ. რედ. **ალ. ჭუღნია**

## გამოსადევი ცნობანი

### ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | 10 კ. | |
| სუკი . . . . . | » | — 15 კ. | |
| » ცხვრისა . . . | » | — $8^1/_2$ კ. | |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 კ. | |
| » კამეჩისა » » | » | — 8 კ. | |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » — 10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დაღი).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჭკ. მძ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კოჯზალზე, | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. კ. | მ. კ., | |
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | 1 1 | —5— | |
| სიმინდი . . . . | 1 | — 80 | —— | |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | —— | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | —— | |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | —— | |
| კარტოფილი. . . | 1 | — 60 | —— | |
| ხახვი . . . . . | 1 | — 50 | —— | |
| თივა . . . . . | 1 | — 30 | —— | |
| ბზე. . . . . . | 1 | — 28 | —— | |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხ. | | ხარისხ. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანდასწრებით 1900 წ. 12 ივნისს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა, რომელიც დანიშნულია იმისთვის, რომ გატანილ იქმნას ციციანოვის აღმართიდან ქვის ნამტვრევი, ქვა და მიწა, რომელიც დარჩა ამ აღმართის შეკეთების დროს. ამ საქმისათვის დანიშნულია 1000 მან.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებითი პირობები ქალაქის შენობათა გამგე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-ს საათამდე. (3—3)

**ვექილი ა. მ. ახნაზაროვი**

გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 42.

დილის 8—10 საათ. და საღამ. 6—8 საათამდის. (10—10)


გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Іюня 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.